ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, N 263; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, N 263; ქალაქი თბილისი, ქუჩა ზედაზენი, N4 კორპუსის მიმდებარედ. შპს "ლივინ დეველოპმენტი"-ს საკუთრებაში არსებულ

მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 01.12.11.037.115)

დაპროექტებული საცხოვრებელი კომპლექსის A ბლოკი-ს

არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების

წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41

დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

საექსპერტო დასკვნა

დამკვეთი	შპს "ლივინ დეველოპმენტი"
პროექტის ავტორი	ნ. აბასაშვილი მ. მახათაძე
ექსპერტი	ბ. დავითური

2020

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად, ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

• საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტის ზოგადი ინფორმაცია (არქიტექტურული პროექტის შემადგენლობის ჩამონათვალი; პირობითი აღნიშვნები; შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი).
• საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი.
• საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა.
• შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმა.
• შენობა-ნაგებობის ჭრილები.
• შენობა-ნაგებობის ფასადები.
• კიბის დეტალური ნახაზი.
• შენობის მოცულობითი ვიზუალიზაცია.

შენიშვნა:

• საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
• ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.
• დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.
• საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
• საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
• სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.
• საპროექტო შენობის მთლიანი ან ნაწილობრივი ფუნქციის ან/და დაკავებულობის

ცვლილების შემთხვევაში, კორექტირებული არქიტექტურული დოკუმენტაცია შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან და მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან.

• უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი (საკ. კოდით 01.12.11.037.115) ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, N 263; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, N 263; ქალაქი თბილისი, ქუჩა ზედაზენი, N4 კორპუსის მიმდებარედ. მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 12808.0 კვ . მ -ს. ნაკვეთს ჩრდილოეთით ესაზღრება ჭოლა ლომთათიძის ქუჩა, ხოლო დანარჩენ სამ მხარეს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.
პროექტით გათვალისწინებულია მიწის ზევით ორი 40.70 მ. სიმაღლის (სახლი A და სახლი B) თორმეტსართულიანი და ორი 32.10 მ. სიმაღლის (სახლი C და სახლი D) ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა საერთო მიწისქვეშა სართულით და ცალკე მდგომი ერთსართულიანი კომერციული დანიშნულების 5.20 მ. სიმაღლის შენობა ბლოკი E.
აქედან: საცხოვრებელი სახლი A
- მიწისქვეშა სართულზე განთავსებულია ავტოსადგომი 46 ავტომობილზე.
- I-XII სართულებზე განთავსდება: საცხოვრებელი ბინები.
შენობას აქვს ორი კიბის უჯრედი და ორი ლიფტი, რომლებითაც წვდომა ხდება მიწისქვეშა, მიწისპირა და მოწისზედა სართულებზე. საცხოვრებელი სახლის პირველ სართულსე მოწყობილ ყველა ბინას, ცენტრალური შესასვლელის გარდა აქვს ინდივიდუალური ეზოში გასასვლელები.
საცხოვრებელი კომპლექსი არის მისაწვდომი უნარშეზღუდულთათვის. ყველა შენობის შესასვლელებში მოწყობილია პანდუსები შშმ პირთათვის, რომელთა დახრა უტოლდება 6%-ს. პროექტში ასევე გათვალისწინებულია: ყველა სართულზე თითო ბინა მისაწვდომი საშხაპეებით და ტუალეტებით. მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომზე გათვალისწინებულია მისაწვდომი ავტოსადგომები. შენობების სახურავები იქნება ბრტყელი. სახურავებზე განთავსდება ლიფტის სამანქანო ოთახები და წვდომა შესაძლებელი იქნება კიბის უჯრედების საშუალებით.

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

სარჩევი:

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
5. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
6. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება;
7. გასასვლელი საშუალებების შეფასება;
8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის შეფასება;
9. შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება;
10. ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასება;
11. წყალსადენი სისტემების შეფასება;
12. სახურავის ანაწყობებების შეფასება;
13. ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება.

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

- ✓ **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (ავტოსადგომი - 3.00 ნიშნულზე). შეესაბამება 311-ე ქვეთავს, რომლის მიხედვითაც ამ ჯგუფს განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები;
- ✓ **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (დამხმარე სათავსები - 3.00 ნიშნულზე, ლიფტის სამანქანო ოთახები +39.60 და +28.90 ნიშნულებზე); შეესაბამება 312-ე ქვეთავს, რომლის მიხედვითაც ამ ჯგუფს განეკუთვნება: დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახი;
- ✓ **საცხოვრებელი ჯგუფი სც–2** (საცხოვრებელი ბინები ±0.00 -+36.30 ნიშნულის ჩათვლით.) რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს, პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული მაჩვენებელი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:
- ✓ **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (ავტოსადგომი, - 0.00 ნიშნულზე), ------ 18,6 მთლიანი
- ✓ **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (ლიფტის სამანქანო ოთახები +39.60 ნიშნულზე);----------27.9 მთლიანი (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახი).
- ✓ **საცხოვრებელი ჯგუფი სც–2** (საცხოვრებელი ბინები ±0.00 -+36.30 ნიშნულის ჩათვლით.)----------18,6 მთლიანი (საცხოვრებლები).

ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა თითოეული სივრცისთვის (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე) და მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები:

- ✓ **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (ავტოსადგომი -3.00 ნიშნულზე)- 1473.7კვ.მ/18,6დ.დ.ფ = 79 დ.დ.

✓ **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს:**

სახლი A (ლიფტის სამანქანო ოთახი +39.60 ნიშნულზე) – 5.03კვ.მ/27,9დ.დ.ფ =1

✓ **საცხოვრებელი ჯგუფი სც–2**

±0.00 ნიშნული;

(01-1) 42.6კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ, (01-2) 34.8კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 2 დ.დ, (01-3) 60.1კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 4 დ.დ, (01-4) 50.3კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ, (01-5) 48.7კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ, (01-6) 39.3კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ, (01-7) 31.3კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 2 დ.დ, (01-8) 54.4კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ, (01-9) 50.8კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ,

ჯამი =26 დ.დ.

(+3.30 - +36.30) ნიშნულის ჩათვლით) 11 სართული.

(02-1) 54.8კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ, (02-2) 42.2კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ, (02-3) 76.6კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 5 დ.დ, (02-4) 59.9კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 4 დ.დ, (02-5) 58.3კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 4 დ.დ, (02-6) 58.3კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 4 დ.დ, (02-7) 75.7კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 4 დ.დ, (02-8) 54.6კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ, (02-9) 51.6კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 3 დ.დ, (02-10) 85.6კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 5 დ.დ, (02-11) 38.7კვ.მ/18,6 დ.დ.ფ. = 2 დ.დ,

ჯამი = 40 ×11=440 დ.დ.

ჯამი **სც–2** = 466 დ.დ.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

• შენობის სიმაღლის, სართულიანობის და ფართობის გათვალისწინებით, საპროექტო
შენობისთვის შერჩეულია I – A ტიპის კონსტრუქცია.
• შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების
მინიმალური ცეცხლმედეგობის ხარისხები უნდა განისაზღვროს 601-ე ცხრილის შესაბამისად, შემდეგი სახით:
• ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ----------3 სთ.
• იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------2 სთ.
• სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------1 სთ.
• რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის
ხარისხის მინიმალური მოთხოვნები, რომელიც სრულად შეესაბამება 602-ე ცხრილის მოთხოვნებს, შემდეგი სქემით:

შენიშვნა #1 - შიგა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლებით.

შენიშვნა-რეკომენდაციები:
• *I ტიპის კონსტრუქციაში 601-ე ცხრილში ჩამოთვლილი შენობის ელემენტები არაწვადი მასალების უნდა იყოს.*
• *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შესაბამისი ტესტის პროცედურების ან წესების მიხედვით უნდა განისაზღვროს (შენობის ელემენტებისთვის, კომპონენტების ან ანაწყობებისთვის მოთხოვნილი ცეცხლმედეგობა დასაშვებია განისაზღვროს 721-ე და 722-ე ქვეთავების შესაბამისად). თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შემოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტში, კომპონენტში ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს.*

ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვანილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს.

3. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

პროექტით გათვალისწინებულია მიწის ზევით 40.70 მ. სიმაღლის თორმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიწისქვეშა სართულით. საპროექტო შენობების სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების მე-5 თავის 503- ცხრილის მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან (I-A) გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს. იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობები აკმაყოფილებს I-A კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების 503-ე ცხრილის მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე შეუზღუდავია, ხოლო დასაშვები სართულიანობა საპროექტო დოკუმენტაციით მოცემული თითოეული დაკავებულობისთვის (სც-2, სწ-2 და დს.) განსაზღვრულია ინდივიდუალურად და შეადგენს:

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2	შეუზღუდავი	1
დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს	შეუზღუდავი	2
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	შეუზღუდავი	12
	დასაშვები სიმაღლე	შემოთავაზებული სიმაღლე
საერთო სიმაღლე =	შეუზღუდავი	40.70
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =		12 და (დამატებით დამხმარე ტექნიკური ფართი სახურავზე)

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები ფართობი	შემოთავაზებული ფართობი
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (±0.00)	შეუზღუდავი	412.3
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (+3.30 - +36.30) თითო სართული, სულ 11.	შეუზღუდავი	657.3
დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს (+39.60)	შეუზღუდავი	5.03
მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (-3.00)	შეუზღუდავი	1473.7
იატაკების სუფთა (სასარგებლო) ფართობი =	9145.4	
იატაკების რაოდენობა =	13	
შენობის საერთო ფართობი =	10271.7	

ყოველივე ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, საპროექტო შენობა, მისი კონსტრუქცის ტიპის (I – A) მიხედვით, სიმაღლით, სართულიანობით და ფართობით სრულიად აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს ქვემოაღნიშნული ცხრილის შესაბამისად.

სიმაღლისა და ფართობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

4. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად.

- იმის გათვალისწინებით, რომ ფასადზე ღიობები ერთმანეთისაგან დაშორებულია 1,5 მეტრის საზღვრებში და ქვედა სართულის ღიობები არ არის 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის, მომიჯნავე სართულებზე ღიობები გარე კედლით, 0,9 მეტრზე მეტად გამიჯნულია შვეულად და ასეთი გამმიჯნავი კედლის ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს;

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები
ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით

გარე კედელი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრი)	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათი)		კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)					
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	დასაშვები			გათვალისწინებული		
				დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი	დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი
(1-7 ღეძებში)	10.60 მ.	არ მოეთხოვება	1 საათი	–	–	შეუზღუდავია	–	–	არ მოეთხოვება
(7-1 ღეძებში)	12.50 მ.	არ მოეთხოვება	1 საათი	–	–	შეუზღუდავია	–	–	არ მოეთხოვება
(ა-დ ღეძებში)	9.60 მ.	არ მოეთხოვება	1 საათი	–	–	შეუზღუდავია	–	–	არ მოეთხოვება
(დ-ა ღეძებში)	25.95 მ.	არ მოეთხოვება	1 საათი	–	–	შეუზღუდავია	–	–	არ მოეთხოვება

შესაბამისად 602 ცხრილის მიხედვით შევობების გარე კედელებს არ ესაჭიროება ხანძარმედეგობა, მიუხედავად ამისა შემოზღუდულია ერთსაათიანი ცეცხლმედეგი კედლებით. გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების პროცენტულობა დაცულია 705.8 ცხრილის მიხედვით.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 602, ცხრილი 602. თავი 7, ქვეთავი 705, ცხრილი 705.8.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების 705.8.1 ქვეთავის მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე 705.8.5 და 716 ქვეთავის მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების 1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად, გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით. გარე კედლებისადმი

მოთხოვნებისშეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

5. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად.პროექტში წარმოდგენილია 3 შერეული დაკავებულობა, **სწ-2, დს და სც-2** ჯგუფების სახით.

- ჯგუფების დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და ცეცხლმედეგი კედელბით , რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილის მოთხოვნებს. კედლების და თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა და ბეტონის ბლოკის კედლები.
- სც-2 (საცხოვრებელი ბინები) საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია, მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედელბითა და 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების 420.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- დერეფნის კედლები და ლიფტის ფოიეს გამმიჯნავი ცეცხლმედეგ ტიხრებს უნდა წარმოადგენდეს. გასათვალისწინებელია, რომ ცეცხლმედეგი ტიხრები შენობის კონსტრუქციის ტიპის შესაბამისი მასალის უნდა იყოს.

• ცეცხლმედეგი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 708.3 და 1018.1 პუნქტების მოთხოვნას.
• ცეცხლმედეგ ტიხრებში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა უტოლდება 20 წუთს, რაც
შეესაბამება 716.5 პუნქტის მოთხოვნას.
• შახტის შემომზღუდავები, რომლებშიც გავა საჰაერო ღიობები, დაცული უნდა იყოს
ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით, თანახმად 717.5.4 და 717.5.4.1 პუნქტის მოთხოვნებისა.
• 713.4 პუნქტის თანახმად, შახტის შემომზღუდავის ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათზე ნაკლები არ უნდა იყოს, რაც წარმოდგენილ პროექტით დაცულია და უტოლდება 2 საათს.
• შახტის შემომზღუდავი წარმოდგენილი პროექტით წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რაც შეესაბამება 713.5 პუნქტის მოთხოვნას.
• ლიფტის შახტის შემომზღუდავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს და უნდა აკმაყოფილებდეს ცეცხლმედეგი ზღუდეებისადმი მოთხოვნებს, თანახმად 1702.1 პუნქტისა.
• ლიფტის შახტის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 713.4 პუნქტის მოთხოვნას.
• შიგა გასასვლელის გზა-კიბეების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება წესების მოთხოვნას.
• შიგა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რაც შეესაბამება 1022.3.1 პუნქტის მოთხოვნას.
• კიბეების ცეცხლმედეგ ზღუდეებში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა უტოლდება 90 წუთს, რაც შეესაბამება 716.5 პუნქტის მოთხოვნას.
• სხვადასხვა ტიპის დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 508.4 ცხრილის შესაბამისად.
• დამხმარე და მთავარი დაკავებულობების გამიჯვნა აუცილებელი არ არის, თანახმად 508.2.4 პუნქტისა.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

• *ცეცხლმედეგ კედლებს, ცეცხლმედეგ ზღუდეებს, ცეცხლმედეგ ტიხრებს ან ნებისმიერ სხვა კედელს, რომელთა ღიობები ან გაყვანილობები დაცული უნდა იყოს, ამოსაცნობად მუდმივი და ეფექტიანი ნიშნები ან ტრაფარეტები უნდა ჰქონდეს. ამოსაცნობი ნიშნები 703.7 პუნქტის შესაბამისად უნდა მოეწყოს.*
• *ვინაიდან სვეტებს ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე დამცავი უნდა ჰქონდეს, მთელი სვეტი ინდივიდუალურად უნდა დამუშავდეს ან შეიმოსოს ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე მასალებით, რომლებიც დაიცავს მას მთელ*

სიგრძეზე ყველა მხარეს, მათ შორის, სტრუქტურულ სხვა ნაწილებთან შეერთების ადგილებში. თუ სვეტი გრძელდება ჭერის გავლით, დამცავი ფენა უწყვეტი უნდა იყოს საძირკვლის ან იატაკ-ჭერის ანაწყობიდან ჭერის სივრცის გავლით სვეტის ბოლომდე, თანახმად 704.2
პუნქტისა.

- *მთავარი სტრუქტურული კარკასის (სვეტების გარდა) ნაწილებს, რომელთაც ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა ჰქონდეს და ზიდავდეს ორზე მეტ იატაკს ან ორზე მეტი სართულის სიმაღლის არამზიდ კედელს, ინდივიდუალური დამცავი სამოსი უნდა ჰქონდეს, რომელიც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე მასალებით ყველა მხრიდან დაიცავს მათ მთელ სიგრძეზე, სტრუქტურულ სხვა ნაწილებთან შეერთებებიანად, თანახმად 704.3 პუნქტისა.*
- *ცეცხლმედეგი ზღუდეები საძირკვლის ან იატაკ-ჭერის ანაწყობის თავიდან ქვემოთ იატაკის ქვედაპირამდე ან ზემოთ მდებარე სახურავის ფენილამდე, ფიცარფენილამდე ან ფილამდე უნდა გრძელდებოდეს და მათზე კარგად უნდა დამაგრდეს. ასეთი ცეცხლმედეგი ზღუდეები უწყვეტად უნდა გადიოდეს დამალულ სივრცეებში, მაგალითად, შეკიდული ჭერის ზემოთ შექმნილ სივრცეში. ცეცხლმედეგი ზღუდეები 707-ე ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.*
- *ცეცხლმედეგი ტიხრები უნდა გაგრძელდეს საძირკვლის თავიდან ან იატაკ-ჭერის ანაწყობიდან იატაკის ან სახურავის ფენილის ქვედაპირამდე, ფილის ან ფიცარფენილის ზემოთ ან ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე იატაკ-ჭერის ან სახურავ-ჭერის ანაწყობის ზემოთ, და საიმედოდ უნდა დამაგრდეს მათზე. ცეცხლმედეგი ტიხრები 708-ე ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.*
- *შახტის შემომზღუდავები 707-ე ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი ზღუდეების ან 711-ე ქვეთავის შესაბამისი თარაზული ანაწყობების, ან ორივეს მსგავსად უნდა აიგოს და უწყვეტი უნდა იყოს.*
- *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შესაბამისი ტესტის პროცედურების ან წესების მიხედვით უნდა განისაზღვროს. თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შემოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტში, კომპონენტში ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს. ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვანილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს. შენობის ელემენტებისთვის,*

კომპონენტების ან ანაწყობებისთვის მოთხოვნილი ცეცხლმედეგობა დასაშვებია განისაზღვროს 721-ე და 722-ე ქვეთავების შესაბამისად.

6. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე, შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისაგნ დაცვის აქტიური სისტემებით:

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმოჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები
სწ–2	კი		კი	კი		კი	
დს			კი				
სც-2			კი				
კიბის უჯრედი			კი		კი (ჰაერის დაწნევის სისტემა)	კი	
ლიფტები					კი (ჰაერის დაწნევის სისტემა)		
კორიდორები (სც–2)			კი	კი	კი	კი	
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				კი 2 (შენობეის გარეთ)			

✓ **ავტოსაშხეფი სისტემა:**

• საპროექტო სწ-2 დაკავებულობები მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით რაც შეესაბამება 903.2.9.1 ქვეთავს და 1018.4 ქვეთავის 2 გამონაკლისს.

✓ **სახანძრო მილდგარების სისტემა:**

• იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ოთხივე შენობის ყველაზე მაღალი სართულების იატაკის დონე 9.00 მეტრზე ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა უნდა მოეწყოს კიბის უჯრედებში თანახმად 905.3.1. პუნქტისა.

• III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები განთავსებულია შენობებში 905.6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

• *სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ NFPA 14-ის შესაბამისად; თუმცა 102.3*

პუნქტის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტის შესაბამისი სხვა სტანდარტის გამოყენება.

• *სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები, რომლებიც გამოყენებულია სახანძრო მილდგარების სისტემების მისაერთებლებთან, უნდა მიესადაგებოდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთის სახანძრო სახელოების შემაერთებელ თავაკებს.*

• *შენობებში, სადაც ერთზე მეტი სახანძრო მილდგარია, ისინი ერთმანეთთან მიერთებული უნდა იყოს NFPA 14-ის შესაბამისად.*

• *კარადები, სადაც განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა, კერძოდ: სახანძრო მილდგარები, სახანძრო სახელოები, ცეცხლსაქრობები ან სარქვლები სახანძრო-სამაშველო დანაყოფისათვის, ხელმისაწვდომი უნდა იყოს და არ უნდა დაიფაროს თვალისგან.*

• *მილდგარების კარადებზე დატანილი უნდა იყოს ამოსაცნობი ნიშნები, არანაკლებ, 5 სმ*

სიმაღლის ასოებით, რომელთა ფერი მკვეთრად განსხვავდება ფონისგან, თუმცა შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება იმ შემთხვევაში თუ პატარა ზომის კარებს, რომლებზეც წარწერიანი ნიშანი არ ეტევა, შეიძლება მიეკრას იმ მოწყობილობის აღმნიშვნელი პიქტოგრამა, რომელიც ამ კარადაში ინახება ან ნიშანი შეისაძლოა არ დასჭირდეს კარს, რომელსაც გამჭვირვალე მინის პანელი აქვს ან მთლიანად მინისაა.

• *თუ კარადის კარი არ იქნება გამჭვირვალე მასალის, რომელიც ადვილად ტყდება, ასეთ შემთხვევაში კარადის კარი არ უნდა იკეტებოდეს საკეტით.*

• *მშენებლობისა და დაშლის პროცესში საჭირო სახანძრო მილდგარების სისტემები*

უნდა მოეწყოს 2011-ე ქვეთავის შესაბამისად.

✓ **ხელის ცეცხლმაქრები:**

• საცხოვრებელში არ განთავსდება ხელის ცეცხლმაქრები, თანახმად 906.1 პუნქტისა სც–2 დაკავებულობას ხელის ცეცხლმაქრები სჭირდება კონკრეტულ ადგილებზე (906.1 ქვეთავი –2 და 6 პუნქტები). დანარჩენი დაკავებულობები აღჭურვილია ხელისცეცხლმაქრი სისტემებით. ხელის ცეცხლმაქრებით ასევე აღჭურვილია სც-2 ჯგუფის კორიდორები და კიბის უჯრედები.

• ცეცხლსაქრობები განთავსდება შენობის ყოველ 23 მეტრში, თანახმად 906.3(1) ცხრილისა.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

• *პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა განთავსდეს შესამჩნევ ადგილებში, რათა მათთან მისვლა და დაუყოვნებლივ გამოყენება ადვილი იყოს. ასეთი ადგილებია ჩვეულებრივი სავალი ბილიკების გასწვრივ, თუ სახანძრო-სამაშველო დანაყოფი არ დაადგენს, რომ არსებული საფრთხის გამო ცეცხლსაქრობები ჩვეულებრივი სავალი ბილიკებიდან მოშორებით უნდა განთავსდეს.*

• *პორტატიული ცეცხლსაქრობები არ უნდა განთავსდეს ძნელად დასანახ ადგილებში. თუ ოთახებში ან ფართობებზე პორტატიული ცეცხლსაქრობების დანახვას რაიმე აბრკოლებს, უნდა არსებობდეს სპეციალური მინიშნებები, რომლებიც ცეცხლსაქრობების მდებარეობაზე მიუთითებს.*

• *ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომლებიც არ არის მოთავსებული კარადებში, უნდა ჩამოიკიდოს საკიდებზე ან განთავსდეს ბრჯენებზე. საკიდები და ბრჯენები კარგად უნდა დამაგრდეს საყრდენ ზედაპირზე მწარმოებლის მითითებების შესაბამისად.*

• *პორტატიული ცეცხლსაქრობების განსათავსებელი კარადები არ უნდა იკეტებოდეს.*

• *პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა არ აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა მოეწყოს, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,5 მ-ზე მეტად.*

• *ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა დააყენონ, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,1 მ-ზე მეტად.*

✓ **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:**

• წესების მეცხრე თავის 907.2.9, 907.2.11.2 და 907.5.2.3.4–ე ქვეთავების შესაბამისად სც–2 ჯგუფის დაკავებულობებში ყველა საცხოვრებელ და დამხმარე ერთეულში

მოწყობილია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის სისტემები. 907.5 ქვეთავის თანახმად სც–2 ჯგუფის დერეფნებში და სწ-2 ჯგუფებში მოწყობილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინებას. 907 ქვეთავის შესაბამისად კიბის უჯრედებსა და დერეფნებში მოწყობილია კვამლაღმომჩენი სისტემები.

✓ კვამლის საკონტროლო სისტემები:

- მოწყობილობები, მათ შორის, ვენტილატორები, არხები, ავტომატური ფარსაკეტები და დამბალანსებელი ფარსაკეტები დანიშნულების მიხედვით გამოყენებისთვის შესაფერისი უნდა იყოს. ისინი უნდა უძლებდეს რაციონალურ ანალიზში მითითებულ სავარაუდო ტემპერატურულ ზემოქმედებას.

- ჰაერის შემწოვ-გამწოვი ხვრელები/მოწყობილობები ისე უნდა განთავსდეს, რომ შენობის იმ ნაწილს, სადაც ცეცხლი არაა გავრცელებული, არ შეუქმნას ხანძრის დამატებითი საფრთხე. (შენობის) გარეთ მდებარე ჰაერშემწოვი ხვრელები ისე უნდა განთავსდეს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს კვამლისა და ცეცხლის ალის შენობაში შეღწევის შესაძლებლობა. გამწოვი ხვრელები ისე უნდა განთავსდეს, რომ კვამლის შენობაში შებრუნების შესაძლებლობა და შენობისა და მომიჯნავე შენობებისათვის ხანძრის დამატებითი საფრთხე მინიმალური იყოს.

- ავტომატური ფარსაკეტები, რა დანიშნულებითაც არ უნდა იყოს დაყენებული კვამლის კონტროლის სისტემაში, ავტომატური ფარსაკეტები შეტანილი უნდა იყოს ნუსხაში და შეესაბამებოდეს მისაღებ, აღიარებულ სტანდარტებს.
- კიბის უჯრედებში და ლიფტის შახტაში მოწყობილია სახაერო დაწნევის სისტემები 909.20 და 909.21 ქვთავების მიხედვით.

შენიშვნა/ რეკომენდაციები:

- *საკონტროლო სისტემების ტიპების, ამ სისტემების მუშაობის მეთოდების, მათი უზრუნველმყოფი სისტემებისა და აგების მეთოდების რაციონალური ანალიზი უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტებს და უნდა მოიცავდეს ქვემოთ მითითებულ საკითხებს (მაგრამ არა მხოლოდ მათ): 1. სისტემა ისე უნდა დაგეგმარდეს, რომ მაქსიმალურმა ჩვეულებრივმა ან უკუთვითწევამ უარყოფითად არ იმოქმედოს სისტემის შესაძლებლობებზე. მაქსიმალური თვითწევის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს სიმაღლე ზღვის დონიდან, განთავსების სიმაღლე, მეტეოროლოგიური მონაცემები და შიგა ტემპერატურები. 2. დაგეგმარებისას გათვალისწინებული ხანძრით გამოწვეული ენერგია და გაფართოება უნდა გაანალიზდეს 909.9 ქვეთავის შესაბამისად. სისტემის დაგეგმარებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარმა ზემოქმედებებმა უარყოფითად არ იმოქმედოს სისტემის შესაძლებლობებზე. 3. დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქარის უარყოფით ზემოქმდება. 4. დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს*

გათბობის, განიავებისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების გავლენა კვამლისა და ცეცხლის გავრცელებაზე. ანალიზში უნდა აისახოს სისტემაში განხორციელებული ყველა ცვლილება. დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ცეცხლის ზემოქმედება გათბობის, განიავებისა და ჰაერის კონდიცირების სისტემებზე. 5. დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დაბალი ტემპერატურის ზემოქმედება სისტემებზე, საკუთრებასა და ადამიანებზე. ჰაერის შემწოვ-გამწოვები ისე უნდა განთავსდეს, რომ თავიდან აიცილონ თოვლის ან ყინულის საცობი. 6. კვამლის აქტიური ან პასიური საკონტროლო სისტემების ყველა ნაწილს უნდა შეეძლოს უწყვეტად მუშაობა ცეცხლის აღმოჩენის შემდეგ, არანაკლებ, 20 წუთის განმავლობაში ან შენობიდან გასვლისთვის გამოთვლილ დროზე 1,5-ჯერ მეტი ხნის განმავლობაში (რომელიც ნაკლები იქნება).

- *დაწნევის შედეგად; შიგა გასასვლელის გზა-კიბეებზე იქმნება, სულ მცირე, 25 პა და, არაუმეტეს, 87 პა წნევა გზა-კიბის ყველა კარის დახურვისას, მაქსიმალური თვითწევისა და ქარის გავლენის პირობებში.*
- *ლიფტის შახტები უნდა იყოს დაწნეული, რომ შენარჩუნდეს, სულ მცირე, 25 პა დადებითი წნევა და, არაუმეტეს, 67 პა დადებითი წნევა, მომიჯნავე დაკავებული სივრცის ყველა იატაკის გათვალისწინებით. წნევა უნდა გაიზომოს ლიფტის შახტის თითოეული კარის შუაწერტილში, როდესაც ყველა ლიფტის კაბინა გამოძახების იატაკთანაა და ლიფტის შახტის ყველა კარი გამოძახების იატაკზე ღიაა, ხოლო ლიფტის შახტის ყველა სხვა კარი დახურულია. ამ ტესტის ჩატარების დროს უნდა ჩანდეს თითოეულ დონეზე ლიფტის შახტის კარების გაღება- დახურვა. კარადა ჰაერით უნდა მარაგდებოდეს (შენობის) გარედან, დაუბინძურებელი წყაროდან, რომელიც მდებარეობს, სულ მცირე, 6,0 მ-ის დაშორებით ჰაერის გამწოვი ნებისმიერი სისტემის ან გამომშვები ხვრელისგან.*

✓ სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი 2 მისაერთებელი.
- ჰიდრანტთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *ჰიდრანტების (წყლის ასაღები წერტების), საავტომობილო გზების, შენობებისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ სისტემასთან მიერთებულმა სახანძრო აპარატურამ და სახელოებმა სხვა სახანძრო აპარატურას არ ჩაუხერგოს შენობასთან მისასვლელი. სახანძრო მისაერთებლების მდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.*
- *სახანძრო მისაერთებლებთან მისასვლელი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს და არასოდეს ჩაიხერგოს ღობეებით, ბუჩქებით, ხეებით, კედლებით ან სხვა მსგავსი ობიექტებით. სახანძრო მისაერთებლებთან მისადგომი შეთანხმებული უნდა იყოს*

სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

გასათვალისწინებელი საკითხები:

- *არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.*
- *უკანონოდ უნდა ჩაითვალოს შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის*

7. გასასვლელი საშუალებების შეფასება;

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწის დინის ქვედა სართული (– 3.00 ნიშნული).	**სწ–2** შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი **დ.დ 79**	**2**	**2** (შიგა გასასვლელი გზაკიბე)	**1.1 მ.** (თითო გზა-კიბე)	**1.2 მ.** (თითო გზა-კიბე)	**–**	**–**	**0,82 მ.**	**0,90 მ.**

პირველი სართული (± 0.00 ნიშნული).	**სც–2** საცხოვრებელი ბინები **დ.დ 26**	**2**	**2** (გასასვლელი გზაკარი)			**1.2 მ**	**1.2 მ**	**0,82 მ.**	**0.90 მ.**
მეორე და ტიპიური სართული (+3.30 - +36.30) ნიშნულის ჩათვლით)	**სც–2** საცხოვრებელი ბინები **დ.დ 40**	**2**	**2** (შიგა გასასვლელი გზაკიბე)	**1.1 მ.** (თითო გზა-კიბე)	**1.2 მ.** (თითო გზა-კიბე)	**1.2 მ**	**1.55 მ**	**0,82 მ.**	**0.90 მ.**
სახურავი (+39.60 ნიშნული)	**დს** ლიფტის სამანქანო ოთახი **დ.დ 1**	**1**	**1** (შიგა გასასვლელი გზაკიბე)	**1.1 მ.** (თითო გზა-კიბე)	**1.2 მ.** (თითო გზა-კიბე)			**0,82 მ.**	**0.90 მ.**

• პროექტით წარმოდგენილი საცხოვრებრლი შენობიდან, თავისი მოცულობიდან და სართულიანობიდან გამომდინარე, 1021.2(2) ცხრილის შესაბამისად ესაჭიროება ორი გასასვლელის მოწყობა, რაც პროექტით გათვალისწინებულია .

• პროექტით გათვალისწინებული ორივე შიგა გასასვლელი გზა-კიბე, აკავშირებს მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებს და მიწისპირა სართულის დონეზე გასასვლელთან მისადგომის საშუალებით უკავშირდება გარე სივრცეს, რაც შეესაბამება 1022.1 პუნქტის მოთხოვნას.

• ორ გზა-კიბეებში შემავალი კარის ღიობები ერთმანეთისგან დაშორებულია სართულის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე ნაკლებ მანძილზე, რაც შესაბამისობაშია 1015.2.1 პუნქტის მოთხოვნასთან.

• გზა-კიბეების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად, შენობაში გათვალისწინებულ თითოეულ სართულისთვის, მათში არსებული დაკავებულობების დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის 7.6 მმ ფაქტორზე. ზემოაღნიშნული გამოთვლით მიღებულია დასაშვებ მინიმუმზე (1.10მ) ნაკლები სიგანის კიბე, თუმცა კიბის სუფთა სიგანე უტოლდება 1.25 მეტრს.

• თითოეულ ფართში გათვალისწინებული გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კარის რაოდენობა შეესაბამება 1015-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

• გასასვლელებთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი წარმოადგენს: სახლი 37.67 მ.-ს, და აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს .

• კარის ღიობების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად გამოყენებულია 5.1 ფაქტორი. ყველა სივრცისთვის კარის სიგანე სწორად არის განსაზღვრული და მეტია დასაშვებ მინიმუმზე 0.82 მეტრსზე.
• რაც შეეხება დერეფნებს, მათი გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად ასევე გამოყენებულია 5.1 ფაქტორი. პროექტით გათვალისწინებული დერეფნების გამტარიანურობა არამც თუ აკმაყოფილებს 1018.2-ე ცხრილის მოთხოვნებს, არამედ აღემატება ცხრილით განსაზღვრულ ნორმას (1.20) და შეადგენს 1.55 მეტრს. საშუალებების აუცილებელი ტევადობა არ მცირდება გასასვლელისაკენ სავალი გზის გასწვრივ.

შენიშვნა-რეკომენდაციები:
• *დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს*
დერეფნები, გასასვლელის გზა-კიბეები, გასასვლელის გზა-დერეფნები და შენობიდან გამოსასვლელები.
• *გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს.*
• *მთელ შენობაში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი ნიშანთა სისტემის განთავსება, რომელიც უზრუნველყოფს შენობაში მყოფ ადამიანების მარტივ თვით ევაკუაციას.*

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის შეფასება:

• საპროექტო საცხოვრებელი კომპლექსი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (შშმპ) შენობების ყველა სივრცეში მისაწვდომობას.
• შენობების შესასვლელებში მოწყობილია პანდუსები რომელთა დახრილობაც უტოლდება 6%-ს.
• პროექტის ყველა გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლა გეზი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა მისაწვდომობას შენობის ყველა სართულზე.
• ყველა სართულზე თითო ბინა არის მისაწვდომი.
• მიწის ქვედა და ზედა დონეებზე შშმ პირთა გადაადგილება ხდება ლიფტების

საშუალებით.

• საპროექტო შენობებშიში მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისაკენ და შენობებში მისაწვდომი გასასვლელი საშუალების კომპონენტს წარმოადგენს გზა-კიბეები.

• მისაწვდომი გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე მოაჯირებს შორის არის 1,20 მეტრს და ასეთი კიბეები გადიდებული ბაქნის საზღვრებში მოიცავს თავშესაფრის ფართობს, რაც შეესაბამება 1007.3 პუნქტის მოთხოვნას.

• თითოეული თავშესაფრის ფართობი მოიცავს ეტლისათვის საჭირო სივრცეს 0,76მ. X 1,2მ. გაბარიტული ზომებით.

• პროექტით გათვალისწინებული ავტოსადგომებიდან, 8 (რვა) მისაწვდომია შშმ პირთათვის

9. შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება.

• ყველა გამოყენებული სივრცე ნიავდება ბუნებრივი და მექანიკური განიავებით, რაც შეესაბამება 1203-ე ქვეთავს.

• ბუნებრივი განიავების მიზნით მოწყობილი ღიობების მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში არ არის გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ზე ნაკლები, რაც შესაბამისობაშია 1203.4.1 პუნქტის მოთხოვნას.

• ყველა სააბაზანო ოთახი ნიავდება მექანიკური განიავებით, თანახმად 1203.4.2.1 -ე პუნქტისა.

განიავებისადმი მოთხოვნები		
დაკავებულობები/სივრცეები/ გასასვლელი საშუალებები	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება
მიწის დონის ქვედა სართული	–	კი
პირველი სართული	კი	კი
მეორე-მეთორმეტე სართული	კი	კი
კიბის უჯრედები	–	კი
ლიფტები	–	კი

11. ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასება:

• საცხოვრებელ შენობას აქვს ორი ლიფტი. •
ლიფტის შახტების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობა უტოლდება 2 საათს, თანახმად 713.4 პუნქტისა.
• ლიფტის კაბინაში შესაძლებელია 2,15მ. X 0.6 მ. საკაცის შეტანა, რაც შეესაბამება 1702.4 პუნქტის მოთხოვნას

• ლიფტების შახტები უზრუნველყოფილია საჰაეროებით, რომელთაგან კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება, რაც შეესაბამება 1704.1 პუნქტის მოთხოვნას.
• საჰაეროების ფართობი უტოლდება 0,3 კვ.მ.-ს, რაც შეესაბამება 1704.3 პუნქტის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ საჰაეროს საერთო ფართობის, არანაკლებ,
ერთი მესამედი ყოველთვის ღია უნდა იყოს. საჰაეროს ფართობის დახურულ ნაწილებში უნდა იყოს ღიობები, შემინული, არაუმეტეს, 3,2 მმ სისქის ნაწრთობი მინით.

შენიშვნა/რეკომენდაციები:
• *ლიფტის შახტის შემომზღუდავში წყალსადენი და მექანიკური სისტემები არ უნდა მოთავსდეს.*
• *ლიფტის სამანქანო ოთხები და მანქანა-დანადგარებისთვის განკუთვნილი სივრცები ცეცხლმედეგი ზღუდეებით ან თარაზული ანაწყობებით უნდა აიგოს.*
• *წყალგაყვანილობის სისტემები ლიფტის სამანქანო ოთახებში არ უნდა დააყენონ.*

12. წყალსადენი სისტემების შეფასება

შენობებში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემების რაოდენობა სწორად არის განსაზღვრული და მათი რაოდენობა სრულად აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების და ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორედ არის დადგენილი 1109.2 ქვეთავის მოხედვით.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა
ცხრილი 1602.1-ის მიხედვით

სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი წყალსადენი	გათვალისწინებული წყალსადენი	მოთხოვნილი წყალსადენი	გათვალისწინებული წყალსადენი	მოთხოვნილი წყალსადენი	გათვალისწინებული წყალსადენი	მოთხოვნილი წყალსადენი	გათვალისწინებული წყალსადენი	მოთხოვნილი წყალსადენი	გათვალისწინებული წყალსადენი	მოთხოვნილი წყალსადენი	გათვალისწინებული წყალსადენი
მიწის დინის ქვედა სართული (– 3.00 ნიშნული).	**სწ–2** შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი **დ.დ 79**	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
პირველი სართული (± 0.00 ნიშნული).	**სც–2** საცხოვრებელი ბინები **დ.დ 26**	1	1	1	1	1	1	–	–	–	–	1	1
												ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელი 1	
მეორე და ტიპიური სართული (+3.30 - +36.30) ნიშნულის ჩათვლით)	**სც–2** საცხოვრებელი ბინები **დ.დ 40**	1	1	1	1	1	1	–	–	–	–	1	1
												ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელი 1	
სახურავი (+39.60 ნიშნული)	**დს** ლიფტის სამანქანო ოთახი **დ.დ 1**	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–

შენობაში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემების რაოდენობა სწორად არის განსაზღვრული და მათი რაოდენობა სრულად აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების და ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორედ არის დადგენილი 1109.2 ქვეთავის მოხედვით.

ზემოაღნიშნულ არცერთ წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მ-ს, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2-ე პუნქტის მოთხოვნასთან.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *საზოგადოებრივ მოწყობილობებს სქესის აღმნიშვნელი ნიშნები უნდა ჰქონდეს.*

ნიშნები თვალსაჩონო ადგილას უნდა ეკიდოს თითოეული ტუალეტის შესასვლელთან ახლოს.

12. სახურავის ანაწყობების შეფასება.

• 601-ე ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-A ტიპი) გამომდინარე, სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.
• სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).
• სახურავის ბურულის მასალად გამოყენებულია რბილი ბურული „ტოლი“, სახურავის ხარისხი განსაზღვრულია 1507.11.2-ე პუნქტის შესაბამისად.
• სახურავზედა ნაგებობების (კიბის უჯრედის) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთ მესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე პუნქტის მოთხოვნას.
• სახურავებზე მოწყობილია პარაპეტი. პარაპეტის სიმაღლე აკმაყოფილებს 705.11.1-ე
პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა-რეკომენდაციები:
პარაპეტებს ცეცხლმედეგობის ისეთივე ხარისხი უნდა ჰქონდეს, როგორიც აუცილებელია საყრდენი კედლისათვის.

13. ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება.

• პროექტი ითვალისწინებს მიწისქვეშა შემოზღუდულ ავტოსადგომის –3.00 ნიშნულზე მოწყობას (44 ავტომობილზე)
• პროექტით გათვალისწინებულია 46 (ორმოცდაექვსი) ავტოსადგომის მოწყობა.
• ავტოსადგომების ზომები აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.
• პროექტით გათვალისწინებული ავტოსადგომებიდან, 2 (ორი) მისაწვდომია შშმ პირთათვის. ავტოსადგომის გაბარიტული ზომები უტოლდება 2.7 x

6.0 მ-ს. მისაწვდომი ავტოსადგომის რაოდენობა შეესაბამება 1106.1-ე ცხრილის მოთხოვნას, ხოლო გაბარიტული ზომები - ICC სტანდარტს.

• წარმოდგენილი გეგმის და მასზე ასახული საავტომობილო გზის და პანდუსების სქემის მიხედვით, საავტომობილო გზა წარმოადგენს ცალმხრივს და მისი სიგანე შეადგენს 6.0 მ-ს, გზების მოხვევის შიდა რადიუსი უტოლდება 3.5 მ.-ს, ხოლო პანდუსების 4.5 მ.-ს, რაც შესაბამისობაშია 406.9.4.1 პუნქტის.

• ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5-ე პუნქტის მოთხოვნას.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, N 263; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, N 263; ქალაქი თბილისი, ქუჩა ზედაზენი, N4 კორპუსის მიმდებარედ. შპს "ლივინ დეველოპმენტი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 01.12.11.037.115) დაპროექტებული საცხოვრებელი კომპლექსის A ბლოკი-ს არქიტექტურული პროექტის დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან. ასევე ვადასტურებთ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

ექსპერტი : ბექა დავითური
თარიღი: 29.06.2020 წ.

სერტიფიკატი

№ 2017-135

გადაეცემა

ბექა დავითურს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი. დირექტორი

GEORGIA

DIPLOMA AA № 0015379

BEKA DAVITURI

enrolled in 1991 in TBILISI STATE ACADEMY OF ARTS and in 1997 graduated the full course of THE ACADEMY OF ARTS

specializing in the field of ARCHITECTURE

By the Decision of the State Examination Commission of JUNE, 28 1997 HE was awarded the qualification AN ARCHITECT-RESTORER

Rector

Chairman of the State Examination Commission

Dean

Seal

City TBILISI 1997

Registration No 5943 Registrar

საქართველო

დიპლომი AA № 0015379

1991 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და 1997 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 199 7 წლის „28" ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა არქიტექტორ-რესტავრატორის კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 1997 წ.

სარეგისტრაციო No 5943 რეგისტრატორი

რეზიუმე
ბექა დავითური

დაბადების თარიღი, ადგილი;	1974 წელი 10 სექტემბერი, ქ. დუშეთი
საკონტაქტო ინფორმაცია;	ქ.თბილისი ვ. ბიქტორიშვილის № 12ა მობ. 571005999, 558617746
განათლება: 1991-1997 წ.	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის ფაკულტეტი(მაგისტრატურა გაიარა).
სამუშაო გამოცდილება; 1994-2006 წ.	არქიტექტორ გიგა ბათიაშვილი-ს არქიტექტურულ-შემოქმედებითი სახელოსნო. შპს „თეთრი ქალაქი" თანამდებობა; არქიტექტორი. საპროექტო ობიექტი; კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „თეთრი ქალაქი"
2006-2007 წ.	შპს „არტსტუდიო პროექტი" თანამდებობა; არქიტექტორი.
2007 წ.- დან დღემდე	ი/მ ბექა დავითური „ორნამენტი"-ის დირექტორი საიდენტიფიკაციო კოდი: 105014270

დაპროექტებული ობიექტების ჩამონათვალი:

1. ქ. თბილისი, ჯავახეთის № 11 ბანკის შენობა (საკ.კოდი 01.19.20.009.023) 2001 წ.
2. ქ. თბილისი დ. აბაშიძე № 10 თბილისის თბოელექტროცენტრალი: (რეკონსტრუქცია) (საკ.კოდი 01.16.05.012.028) 2003 წ.
3. ქ. თბილისი გამზ. ალ.ყაზბეგი № 34 ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 01.14.03.040.036) 2003 წ.
4. ქ. თბილისი, ყაზბეგი მოსკოვი № 24ა შპს „ZIM" საოფისე შენობა (საკ.კოდი 01.19.34.002.194) 2003 წ.
5. ქ. თბილისი გამზ. მუკუზნი № 5ა საოფისე-კომერციული ნაგებობა; (საკ.კოდი: 01.10.13.031.004) 2007 წ.
6. ქ. თბილისი გლდანის VII მ/რ პურის ხარხანა და სასტუმრო (საკ.კოდი 73.13.27.673) 2009 წ.
7. ქ. თბილისი სოფ წავკისი ინდ. საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 81.02.12.413) 2019 წ.
8. ქ. გორი ქუჩა ჭავჭავაძე № 54 საჭრელიცლის შპს შიდ ქარხნის მთავარი სამარილეს შენობა (საკ.კოდი 66.45.24.180) 2007 წ.
9. ქ. ბათუმი დ. კლდიაშვილის № 3 პრივალდინიანი საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 05.22.10.014) 2009 წ.
10. ქ. დუშეთი, თამიაანთკარი, ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 71.63.58.597) 2017 წ.
11. ქ. დუშეთი ნაჩაშას ქუჩა № 59 ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 71.51.02.405) 2018 წ.
12. ქ. დუშეთი ზანდუკელის ქუჩა № 64 ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 71.51.02.884) 2017 წ.

ი/მ ბექა დავითური ----------



ბექა დავითური

საექსპერტო გამოცდილება

„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე.

თბილისი

1. ავლაბარი სასტუმრო (საკ.კოდი 01.17.01.050.032) AR1639230
2. ქ. ქინძმარაული მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯრების დამამზადებელი საწარმო (საკ.კოდი 01.19.33.001.244) AR16318755
3. ლილო საწყობები (საკ.კოდი 81.08.16.806) AR1620789 და AR1644907
4. წავკისი ერთბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 81.02.20.363) AR1565548
5. ქ. გამრეკელი ორბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 01.14.02.026.008) AR1657636
6. ქ. წურწუმია ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 01.17.01.050.017) AR1658077
7. აღმ. ხეივანი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 01.72.14.007.615) AR1659801
8. ვაშლიჯვარი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 01.10.11.001.168) AR1578334

რეგიონები

1. ქ. ბათუმი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 05.29.24.101)
2. ქ. ფოთი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 04.01.03.876)
3. ქ. ბორჯომი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 64.22.08.011)
4. ქ. დმანისი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 82.01.41.189)
5. მანგლისი სასტუმრო (საკ.კოდი 84.18.39.415)
6. ურეკი სასტუმრო (საკ.კოდი 26.28.12.642)
7. ბაკურიანი ორბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 64.30.11.056)
8. ქ. წნორი ჩურჩხელების დამამზადებელი საწარმო (საკ.კოდი 56.04.55.094)
9. ქ. ხონი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა (საკ.კოდი 37.07.46.031)
10. ქ. რუსთავი გასართობი ცენტრი (საკ.კოდი 02.02.06.574)
11. ქ. რუსთავი სავაჭრო ცენტრი (საკ.კოდი 02.02.04.281)
12. ქ. რუსთავი სავაჭრო ცენტრი (საკ.კოდი 02.02.02.508)
13. ქ. რუსთავი მრავალბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 02.03.04.772)
14. მუნიციპალიტეტი წალკა, დაშბაშის კანიონის ბუნებრივი ძეგლი; ვიზიტორთა ცენტრი(საკ.კოდი 85.25.21.527)
15. მუნიციპალიტეტი წალკა, დაშბაშის კანიონის ბუნებრივი ძეგლი; რესტორანი (საკ.კოდი 85.25.21.527)


Georgia
GEO
ბექა
BEKA
დავითური
DAVITURI
GEO 38 / M
01026011496
10.09.1974
04.02.2029
18IC71464